ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი №3

ქ. ბათუმი 24 თებერვალი, 2017 წელი.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა **ხვიჩა კიკილაშვილი,** ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის მ/შ, საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ნუგზარ მგელაძე** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს ხულოს მაგისტრატი მოსამართლე.

2. **ლეილა გურგუჩიანი** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს შუახევის მაგისტრატი მოსამართლე-საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი.

4. **რუსუდან ბერიძე** - ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მენეჯერი - საკონკურსო-საატესტაციო კომისიის წევრი.

არ გამოცხადდნენ კომისიის შემდეგი წევრები:

ადამ მახარაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოც. მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანი.

ქეთევან თხელიძე - ზესტაფონის რაიონული სასამართლოს პირველადი პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული იყო ერთი საკითხი: ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის ვაკანტურ თანამდებობებზე ჩატარებული კონკურსის შედეგების შეჯამება.

კომისიის წევრებმა მოისმინეს ხვიჩა კიკილაშვილის ინფორმაცია რომლის თანახმადაც 2017 წლის 7 თებერვალს ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, გამოცხადდა კონკურსი ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატში, შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების თარჯიმანი - 1 საშტატო ერთეული;

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად, მათგან, ვინც განცხადება წარადგინა ელექტრონული ფორმით საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით,

საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 2017 წლის 20 თებერვლის №2 ოქმის თანახმად, წარმატებით გაიარა აპლიკაციათა შერჩევის ეტაპი და დაბარებული იქნა გასაუბრებაზე, შემდეგი პირები:

1. სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების თარჯიმნის ვაკანსიაზე:

1. დალილა მაკალათია

კონკურსის პროცედურებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია არ დაფიქსირებულა.

საკონკურსო საატესტაციო კომისიის მიერ კონკურსში მონაწილე თითოეულ პირს ცალ-ცალკე ეყარა კენჭი. აღინიშნა კონკურსანტების ცოდნა და გამოცდილება, პიროვნული მახასიათებლები. მიენიჭათ შესაბამისი შეფასებები. კომისიამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება და ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს თავმჯდომარეს ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიშნად წარედგინა შემდეგი კანდიდატი:

I. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს აპარატის საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების თარჯიმნის ვაკანსიაზე:

1.დალილა მაკალათია

კომისიის თავმჯდომარე

ხვიჩა კიკილაშვილი -

თავმჯდომარის მოადგილე

ნუგზარ მგელაძე -

კომისიის წევრი

ლეილა გურგუჩიანი -

კომისიის წევრი

რუსუდან ბერიძე -